შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა განათლების უფლება კოვიდ-19-ის დროს

საქართველოს
ახალგაზრდა
იურისტთა
ასოციაცია

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა განათლების უფლება კოვიდ-19-ის დროს

თბილისი
2021

დოკუმენტი მომზადებულია ფონდ „პური მსოფლიოსთვის პროტესტანტული განვითარების სამსახურის“ (BFDW) მიერ დაფინანსებული პროექტის - „ადამიანის უფლებების და დემოკრატიის დაცვა სამოქალაქო საზოგადოების შესაძლებლობების გაძლიერების გზით“ - ფარგლებში. გამოცემაზე პასუხისმგებელია საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და მისი შინაარსი არ გამოხატავს დონორის ოფიციალურ პოზიციას.

Brot für die Welt

Bread for the World – Protestant Development Service

კვლევის ხელმძღვანელი: მერაბ ქართველიშვილი

ავტორი: მაკა აბულაძე

რედაქტირება და ყდის დიზაინი: ხათუნა ყვირალაშვილი

ტექ. რედაქტორი: ირაკლი სვანიძე

აიწყო და დაკაბადონდა

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში.

χ. კახიძის ქ.15 თბილისი 0102 საქართველო

(+995 32) 295 23 53, 293 61 01

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, ასოციაციის წერილობითი ნებართვის გარეშე

© 2021, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

სარჩევი

შესავალი 4

მეთოდოლოგია 6

შშმ პირთა განათლების უფლება 6

1. შშმ ბავშვთა განათლების უფლება საერთაშორისო ინსტრუმენტების/ხელშეკრულებების მიხედვით 5
2. შშმ ბავშვთა განათლების უფლება საქართველოს კანონმდებლობაში 7

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა განათლება და პანდემია 9

1. პანდემიის გავლენა შშმ ბავშვთა განათლების უფლებაზე 9
2. პანდემიის პერიოდში ხელისუფლების მიერ გატარებული ღონისძიებები შშმ ბავშვთა განათლების უფლების უზრუნველსაყოფად 12
3. სახელმწიფოს მიერ შშმ ბავშვთა განათლების უფლების უზრუნველსაყოფად გატარებული ღონისძიებების ანალიზი ... 15

შინ სწავლება 17

1. შინ სწავლება და საქართველოს კანონმდებლობა 17
2. შინ სწავლება საქართველოში 18
3. შინ სწავლება და მსოფლიო 19

დასკვნა და რეკომენდაციები 20

შესავალი

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები არაერთი გამოწვევის წინაშე დგანან. ქვეყანაში კვლავ პრობლემაა ხარისხიანი ინკლუზიური განათლება და მასში ფორმალური განათლების მიღმა დარჩენილ შშმ ბავშვთა სრულყოფილად ჩართვა. პანდემიის პერიოდში გამოწვევების ნაწილი გაღრმავდა. დამატებით, გამოიკვეთა არაერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც სახელმწიფოს მხრიდან განსაკუთრებულ შესწავლასა და სათანადო ზომების გატარებას მოითხოვს.

დოკუმენტი მიზნად ისახავს, შეაფასოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვების მისაწვდომობა განათლების უფლებაზე და მისი ეფექტიანობა, დაადგინოს არსებული გამოწვევები ქვეყნის კანონმდებლობისა და საერთაშორისო აქტების ანალიზის საფუძველზე, მიმოიხილოს პანდემიის პირობებში განათლების უფლების რეალიზების მიზნით სახელმწიფოს მხრიდან გადადგმული ნაბიჯები. ასევე, გაანალიზებულია შინ სწავლების პროცესის საკანონმდებლო რეგულაციები და ის ხარვეზები, რომლებმაც განსაკუთრებით თავი იჩინა პანდემიის პროცესში.

შესწავლილი ინფორმაციის საფუძველზე, დოკუმენტი გამოავლენს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა განათლების უფლების სრულყოფილად რეალიზების ხელშემშლელ ძირითად პრობლემურ საკითხებს და შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს.

მეთოდოლოგია

კვლევა მომზადდა სხვადასხვა ინსტრუმენტის გამოყენებით:

- **საჯარო ინფორმაცია -** საიამ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან გამოითხოვა რელევანტური საჯარო ინფორმაცია.
- **ადგილობრივი და საერთაშორისო სტანდარტების ანალიზი -** საიამ გააანალიზა ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისობა იმ საერთაშორისო სტანდარტებთან, რომლებიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა განათლების უფლების დაცვას უზრუნველყოფს. დოკუმენტში მოცემულია ასევე გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის, ბავშვის უფლებების კონვენციის, შეზღუდული შესაძლებლობის

მქონე პირთა უფლებების შესახებ საქართველოს კანონისა და ბავშვის უფლებათა კოდექსის მიმოხილვა. გაანალიზებულია შესაბამისი კანონქვემდებარე აქტები.

- **საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზი -** საიამ შეისწავლა იმ ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკა, რომლებმაც ეფექტიანად შეძლეს პანდემიის დროს ინკლუზიური განათლების მართვა.

შშმ პირთა განათლების უფლება

1. შშმ ბავშვთა განათლების უფლება საერთაშორისო ინსტრუმენტების/ხელშეკრულებების მიხედვით

გაეროს ბავშვის უფლებების 1989 წლის კონვენცია, რომლის ხელმომწერი მხარეც არის საქართველო 1994 წლიდან, უზრუნველყოფს და უშუალოდ იცავს შშმ ბავშვთა უფლებებს. კერძოდ: მე-2 მუხლი კრძალავს დისკრიმინაციას, ხოლო 23-ე მუხლი, სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად, ხაზს უსვამს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების განათლებაზე ხელმისაწვდომობას.[1] მეტიც, კონვენციის შესრულების შეფასებისას უნდა მოწმდებოდეს, დაცულია თუ არა ამ კონვენციით გარანტირებული ყველა უფლება შშმ ბავშვების მიმართ.[2]

ბავშვის უფლებათა დაცვის კომიტეტის (CRC) ზოგადი კომენტარი №9 კონვენციის ნორმებთან მიმართებით შშმ ბავშვების უფლებებს შეეხება. დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები მიეკუთვნებიან ერთ-ერთ ყველაზე მოწყვლად კატეგორიას დისკრიმინაციის კუთხით.[3] კომიტეტი სახელმწიფოებს მოუწოდებს, მიუთითონ კონსტიტუციასა და სხვა ანტიდისკრიმინაციულ კანონმდებლობაში იმ გარემოებებზე, რომელთა საფუძველზეც დისკრიმინაცია აკრძალულია.[4] შშმ ბავშვებს, ყველა სხვა ბავშვის მსგავსად, აქვთ განათლების უფლება და მათ უნდა შეეძლოთ ამ უფლებით თანაბრად სარგებლობა დისკრიმინაციის გარეშე.[5]

---

[1] ბავშვის უფლებების შესახებ კონვენცია.

[2] UNICEF, Promoting the Rights of children with Disabilities, Innocenti Digest, №13, Florence, 2007, para. 4. ხელმისაწვდომია: shorturl.at/azGJV, განახლებულია: 22.11.2021.

[3] CRC, ზოგადი კომენტარი №9, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა უფლებები, მე-9 (ა) პუნქტი, ხელმისაწვდომია: shorturl.at/dwNW6, განახლებულია: 22.11.2021.

[4] იქვე.

[5] იქვე, 62.

განათლების უფლების თვალსაზრისით აღსანიშნავია კონვენციის 28-ე მუხლი, რომელიც კრძალავს დისკრიმინაციას და განამტკიცებს საზოგადოებაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის ინტეგრირებას. ამავე მუხლის თანახმად, მნიშვნელოვანია, შშმ ბავშვებმა განათლების უფლებით ისარგებლონ თანაბარი შესაძლებლობების გათვალისწინებით. ინტეგრაცია გულისხმობს არა იმას, რომ ბავშვი მოერგოს სკოლას და გარემოს, არამედ - სასწავლო დაწესებულების მომზადებას და ადაპტირებას, რათა ყველა ბავშვის განათლების უფლება სრულყოფილად იყოს რეალიზებული.

შშმ ბავშვთა უფლებებს იცავს გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების 2006 წლის კონვენციაც. საქართველომ მისი რატიფიცირება 2013 წელს განახორციელა, ხოლო ძალაში 2014 წელს შევიდა. ინკლუზიური განათლება საქართველოში ჯერ კიდევ კონვენციის რატიფიცირებამდე იყო დანერგილი, თუმცა ამ სფეროში კვლავ არაერთი გამოწვევა არსებობს.

კონვენცია სახელმწიფოს ავალდებულებს თანაბარუფლებიანი გარემოს შექმნას, მათ შორის, ხელმისაწვდომი და საჭიროებებზე მორგებული განათლების უზრუნველყოფას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის. კონვენციაში აისახა ცვლილება შშმ პირების მიმართ მიდგომაში - ისინი აღარ განიხილებიან ქველმოქმედების ობიექტებად, არამედ არიან უფლებების მატარებელი სუბიექტები.

ინკლუზიური განათლება მნიშვნელოვანია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მაღალხარისხიანი განათლებისთვის, თანასწორი, მშვიდობიანი და სამართლიანი საზოგადოების განვითარებისთვის.[6] მხოლოდ ინკლუზიურ გარემოს შეუძლია უზრუნველყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ხარისხიანი განათლება, მათი სოციალური ინტეგრირება, დისკრიმინაციის დაუშვებლობა და განათლების უფლების უნივერსალურობის გარანტია.

გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის 24-ე მუხლი მონაწილე სახელმწიფოებს ავალდებულებს, აღიარონ შშმ პირთა განათლების უფლება თანაბარი შესაძლებლობების გათვალისწინებით და დისკრიმინაციის გარეშე. ამავე მუხლის მე-2 პუნქტით გარანტირებულია უფასო და სავალდებულო დაწყებითი, ასევე საშუალო განათლების უფლება შშმ ბავშვებისთვის. განათ-

[6] CRPD, ზოგადი კომენტარი №4 (2016) ინკლუზიური განათლების შესახებ, 2, ხელმისაწვდომია: shorturl.at/gsKQZ, განახლებულია: 22.11.2021.

ლების უფლების სპეციალურმა მომხსენებელმა ადამიანის უფლებების კომისიისთვის წარდგენილ ანგარიშში ისაუბრა იმ ოთხ ფაქტორზე, რომლებსაც დაწყებითი სკოლები უნდა აკმაყოფილებდნენ. ესენია: (1) განათლების მიცემა, (2) ხარისხი, (3) ხელმისაწვდომობა და (4) საჭიროებებზე მორგება.[7] აქედან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მესამე პუნქტი. განათლება ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველა ბავშვისთვის და სახელმწიფომ ამისთვის ყველა პოზიტიური ზომა უნდა მიიღოს. რაც შეეხება განათლების მოქნილობას, ის უნდა იყოს ადაპტირებული და იცვლებოდეს საზოგადოებაში წარმოშობილი საჭიროებების შესაბამისად, ამასთან, უნდა პასუხობდეს ისეთ გამოწვევებს, როგორიცაა, მაგალითად, ეკონომიკური რყევები და საზოგადოებრივი ცვლილებები.

2. შშმ ბავშვთა განათლების უფლება საქართველოს კანონმდებლობაში

განათლების უფლება გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციით. 27-ე მუხლის თანახმად, ყველას აქვს განათლების მიღებისა და მისი ფორმის არჩევის თავისუფლება.

ინკლუზიური განათლება საქართველოში სამი მნიშვნელოვანი კანონით რეგულირდება. ესენია: „საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ“, „საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ“ და „საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ“.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია, უზრუნველყოს ინკლუზიური[8] განათლების შესაფერისი პირობები.[9] უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ უნდა იზრუნოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტთა საჭიროებებზე[10] და შექმნას შე-

---

[7] UN Doc E/CN.4/1999/49, ECONOMIC, SOCIAL AND CULTURAL RIGHTS, 50-ე პუნქტი, ხელმისაწვდომია: https://digitallibrary.un.org/record/1487535?ln=en, განახლებულია: 22.11.2021.

[8] ინკლუზიური განათლება გულისხმობს თანაბრად ხელმისაწვდომ საგანმანათლებლო პროცესს, ყველა მოსწავლის ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროებებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით.

[9] ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 33, პირველი პუნქტი, „ზ“ ქვეპუნქტი.

[10] უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 3, მე-3 პუნქტი, „დ“ ქვეპუნქტი.

საბამისი გარემო მათი სრულფასოვანი განათლებისთვის.[11] ყველას აქვს უფლება, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე ისარგებლოს პროფესიული განათლების უფლებით.[12] სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის საგანმანათლებლო დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს ინდივიდუალურად მორგებული სასწავლო პროცესი, საგანმანათლებლო მომსახურება და სათანადო სასწავლო გარემო.[13]

საქართველოს პარლამენტმა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ კანონი 2020 წელს მიიღო. კანონის მე-7 მუხლით განმტკიცებულია სახელმწიფოს ვალდებულება, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის შექმნას უწყვეტი განათლების მიღების მექანიზმები მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით.

ამავე კანონის მე-8 მუხლი სახელმწიფოს ავალდებულებს, გაატაროს ეფექტიანი ზომები ხარისხიანი და ხელმისაწვდომი ინკლუზიური განათლების დასანერგად. შშმ პირებისთვის სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს უწყვეტი განათლება და შესაბამისი გარემოს შექმნა, რათა მათ შეძლონ თავიანთი შემოქმედებითი, გონებრივი თუ ფიზიკური უნარების გამოვლენა და საკუთარი პიროვნების რეალიზება.

გაეროს 1989 წლის ბავშვის უფლებების კონვენციით აღებული ვალდებულებების შესრულებისა და კანონმდებლობის დახვეწისთვის, საჭირო იყო საქართველოში დამატებითი საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება.[14] სწორედ ამ მიზნით პარლამენტმა 2019 წელს მიიღო ბავშვის უფლებათა კოდექსი, რომელიც ძალაში 2020 წლის 1-ლ სექტემბერს შევიდა.

ბავშვის უფლებების კოდექსი, ტექნიკური თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი დოკუმენტია. მან თავი მოუყარა სხვადასხვა საკანონმდებლო აქტში მოცემულ ძირითად ჩანაწერებს, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა უფლებებს. შშმ პირთა განათლების

[11] იქვე, მუხლი 43, მე-3 პუნქტი.
[12] პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 4, პირველი პუნქტი.
[13] იქვე, მუხლი 4, მე-3 პუნქტი.
[14] განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე „ბავშვის უფლებათა კოდექსი“, ხელმისაწვდომია: https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/214086, განახლებულია: 22.11.2021.

უფლებას კოდექსის მე-10 მუხლი იცავს, რომლის მიხედვითაც, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს განათლების ინკლუზიური სისტემის თანაბარი ხელმისაწვდომობა ყველა ბავშვისთვის.

წლების განმავლობაში განხორციელებული ცვლილებების მიუხედავად, ხარისხიანი ინკლუზიური განათლების საკითხი ქვეყანაში კვლავ გამოწვევად რჩება. პრობლემურია არსებული საჭიროებების საფუძვლიანი შეფასება, ასევე ფორმალური სწავლების მიღმა დარჩენილი შშმ ბავშვების სრულყოფილად ჩართვა განათლების სისტემაში. პანდემიამ კი ეს გამოწვევები კიდევ უფრო გააღრმავა.[15]

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა განათლება და პანდემია

1. პანდემიის გავლენა შშმ ბავშვთა განათლების უფლებაზე

კორონავირუსით გამოწვეულმა პანდემიამ გლობალურად მნიშვნელოვანი პრობლემები წარმოშვა განათლების უფლების რეალიზების კუთხით.[16] მსოფლიოში ერთ მილიარდზე მეტი მოსწავლე და სტუდენტი განათლების მიღმა დარჩენის რისკის ქვეშ აღმოჩნდა.[17] განსაკუთრებით დაზარალდნენ განვითარებადი და დაბალი ეკონომიკური შესაძლებლობების მქონე ქვეყნები, მათ შორის, საქართველოც, რომელიც, გარკვეულწილად, მოუმზადებელი შეხვდა გამოწვევებს. არსებული პრობლემების ნაწილი გაღრმავდა და მეტი სიმწვავით იჩინა თავი.[18] ამ მიზეზების გათვალისწინებით, სახელმწიფოს მოუწია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციაში განათლების უფლებასთან მიმართებით დათქმის გაკეთება.[19]

---

[15] „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის დღე პანდემიის პირობებში“, ხელმისაწვდომია: shorturl.at/ixABL, განახლებულია: 22.11.2021.

[16] OHCHR, COVID-19 AND THE RIGHTS OF PERSONS WITH DISABILITIES, para. 6, ხელმისაწვდომია: shorturl.at/jopLQ, განახლებულია: 22.11.2021.

[17] UNICEF, Education and COVID-19, ხელმისაწვდომია: https://data.unicef.org/topic/education/covid-19/, განახლებულია: 22.11.2021.

[18] საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის საპარლამენტო ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 367, ხელმისაწვდომია: shorturl.at/fgCN9, განახლებულია: 22.11.2021.

[19] Derogations COVID-19, ხელმისაწვდომია: https://www.coe.int/en/web/conventions/derogations-covid-19, განახლებულია: 22.11.2021.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვისა და რეალიზების მიმართულებით პანდემიის პერიოდში გამოიცა არაერთი საერთაშორისო დოკუმენტი, რომლებშიც გაწერილია სპეციალური რეკომენდაციები სახელმწიფოებისთვის. მათ შორის, საინტერესოა გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის უმაღლესი კომისრის სახელმძღვანელო.[20] მასში საუბარია იმ გამოწვევებზე, რომლებსაც პანდემიის დროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები განათლების უფლების კუთხით აწყდებიან. ყურადღება გამახვილებულია როგორც ინტერნეტის ხელმისაწვდომობაზე, ასევე ბარიერებზე, რომლებმაც, შესაძლოა, თავი იჩინოს სასკოლო მასალებთან დაკავშირებით ონლაინ პროგრამების გავლისას. ამავე დოკუმენტში მოცემულია საუკეთესო პრაქტიკის მაგალითები, რომელთა გაზიარება მიზანშეწონილია სხვა სახელმწიფოებისთვისაც. მაგალითად, ეკვადორმა შეიმუშავა რეკომენდაციები მასწავლებლებისთვის იმ ბავშვების სწავლების ხელშესაწყობად, რომლებსაც სახლში იზოლირება ესაჭიროებათ. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, მოქმედი ფედერალური კანონმდებლობის შესაბამისად, შექმნა დოკუმენტი სასწავლო დაწესებულებებისთვის Covid-19-ის პანდემიის პირობებში შშმ პირთა განათლებისა და სასწავლო რესურსებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად. დიდ ბრიტანეთსა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოში დაინერგა სისტემები მშობლებისა და აღმზრდელებისთვის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა განათლების მხარდაჭერის მიზნით.[21]

ძირითადი რეკომენდაციები შეეხება პანდემიის პერიოდში შშმ ბავშვთა განათლების უფლებასთან დაკავშირებულ საკითხებს, მათ შორის: ინტერნეტსა და პროგრამებზე წვდომას, მომვლელებსა და მშობლებთან მჭიდრო კოორდინაციას, აუდიოვიზუალური და ადაპტირებული მასალების შემუშავებას, დისტანციური სწავლების მიმართულებით მასწავლებელთა გადამზადებას და სხვა ღონისძიებებს.[22]

საქართველოში ინტერნეტზე წვდომა მნიშვნელოვანი გამოწვევა იყო პანდემიამდეც. გაეროს ბავშვთა ფონდისა და საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო კავშირის (ITU) ანგარიშის მიხედვით, სასკოლო ასა-

[20] OHCHR, COVID-19 AND THE RIGHTS OF PERSONS WITH DISABILITIES, ხელმისაწვდომია: shorturl.at/cwzS5, განახლებულია: 22.11.2021,
[21] იქვე, იხ. 6.
[22] იქვე, იხ. 6.

კის ბავშვების 15%-ს ინტერნეტზე ხელი არ მიუწვდება.[23] შესაბამისად, აუცილებელია, ეს პრობლემა დროულად გადაიჭრას, რათა არ შეფერხდეს დისტანციური სწავლება და მათ დაუბრკოლებლად შეძლონ ონლაინ რესურსების სრულყოფილად გამოყენება.[24] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით კი, შინამეურნეობის მხოლოდ 61.8%-ია უზრუნველყოფილი კომპიუტერული ტექნიკით.[25]

ინტერნეტისა და კომპიუტერული მოწყობილობების არქონა იწვევს ბავშვთა განათლების ხელმისაწვდომობის შეზღუდვას. პანდემიის პერიოდში განსაკუთრებით დაზარალდნენ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე შშმ ბავშვები. ზემოხსენებული პრობლემების გარდა, სასწავლო განრიგი, რომელიც სასკოლო ფორმატისთვის იყო განკუთვნილი, ვერ მოერგო მათ ინდივიდუალურ საჭიროებებს და ახალ გამოწვევებს.[26]

დისტანციური განათლების მეთოდოლოგია, ძირითადად, არ შეესაბამებოდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების სპეციალურ საჭიროებებს. გამოვლინდა ხარვეზები ინფორმაციის მიწოდების, ონლაინ სივრცეზე მორგებისა და მასალების ადაპტირების თვალსაზრისით.[27] მნიშვნელოვანი გამოწვევა იყო შშმ და სსსმ მოსწავლეების ჯეროვანი ჩართვა სასწავლო პროცესში.[28] ამ კუთხით, პრობლემები განსაკუთრებით გამოიკვეთა ქცევის სირთულისა და სენსორული შეზღუდვის მქონე ბავშვებში.[29] სათანადოდ ვერ მოხერხდა დისტანციური გაკვეთილების შშმ მოსწავლეებისთვის მისაწვდომი ფორმატით წარმართვა, ასევე შესაბამისი ადამიანური რესურსის ეფექტიანი და

[23] „საქართველოში სასკოლო ასაკის ბავშვების 15 პროცენტს არ აქვს სახლში ინტერნეტზე წვდომა“, UNICEf - საქართველოს ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: shorturl.at/vyKN1, განახლებულია: 22.11.2021.

[24] იქვე.

[25] „შინამეურნეობაში საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების მაჩვენებელი“, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, გვ. 6. ხელმისაწვდომია: shorturl.at/alAN8, განახლებულია: 22.11.2021.

[26] საიას მიერ შშმ პირებთან, შშმ ბავშვების მშობლებთან და შშმ თემის ინტერესების დამცველ ორგანიზაციებთან ჩატარებული ინტერვიუები.

[27] იქვე.

[28] „საქართველოს სახალხო დამცველის განცხადება აუტიზმის მსოფლიო დღესთან დაკავშირებით“, საქართველოს სახალხო დამცველის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: shorturl.at/lpDN8, განახლებულია: 22.12.2021.

[29] „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის დღე პანდემიის პირობებში“, საქართველოს სახალხო დამცველის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: shorturl.at/bIDGI, განახლებულია: 22.11.2021.

დროული მობილიზება.[30]

სახელმწიფოს მიერ გატარებული ღონისძიებები არ აღმოჩნდა საკმარისი, რის გამოც, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა დიდი ნაწილი საგანმანათლებლო პროცესის მიღმა დარჩა.

2. პანდემიის პერიოდში ხელისუფლების მიერ გატარებული ღონისძიებები შშმ ბავშვთა განათლების უფლების უზრუნველსაყოფად

ამ მიმართულებით ერთ-ერთი მცდელობა იყო ტელეპროექტ „ტელესკოლის“ დაწყება,[31] თუმცა ხარისხიანი განათლების მიწოდება სრულფასოვნად ვერ მოხერხდა. სატელევიზიო გაკვეთილები არ იყო მორგებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინდივიდუალურ საჭიროებებზე. გარდა ამისა, ცხადია, „ტელესკოლა“ ვერ იქნებოდა სასწავლო პროცესის ერთადერთი ალტერნატივა და ის მხოლოდ დამატებით, დამხმარე საშუალებად უნდა იყო განხილული.

აღსანიშნავია, რომ განათლების სამინისტროსა და გაეროს ბავშვთა ფონდის ინიციატივით შეიქმნა გადაცემა „მშობლის საათი“. მისი მიზანი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების მხარდაჭერა იყო.[32] სმენადაქვეითებული მაყურებლისთვის უზრუნველყოფილია თარგმანი ჟესტების ენაზე. გადაცემის მეშვეობით ხდება ინფორმაციის გაზიარება მშობლებისთვის, რათა პანდემიას გაუმკლავდნენ.[33]

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინფორმაციით,[34] ამავე სამინისტროს №95/ნ 2020 წლის 9 სექტემბრის ბრძანებით განისაზღვრა სკოლის მოვალეობები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის. კერძოდ, დისტანციური სწავლების შეუძლებლობის შემთხვევაში, შესაძლებელია, სკო-

[30] საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის საპარლამენტო ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 367, ხელმისაწვდომია: shorturl.at/kEMR7, განახლებულია: 22.11.2021.

[31] საქართველოს მთავრობა, ადამიანის უფლებების დაცვა Covid-19-ით გამოწვეული კრიზისის დროს, ხელმისაწვდომია: shorturl.at/ivCIQ, განახლებულია: 22.11.2021.

[32] იქვე, იხ. 17.

[33] იქვე.

[34] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2021 წლის 1-ლი მარტის წერილი №248441.

ლამ მათ შესთავაზოს რესურს-ოთახი,[35] სპეციალური მასწავლებლისა და ინკლუზიური განათლების დამატებითი მომსახურებით, უსაფრთხოების წესების დაცვით. მშობლებისა და სკოლებისთვის ასევე შემუშავდა რეკომენდაციები სახალისო და საინტერესო აქტივობებთან დაკავშირებით, რომლებიც მოზარდებს სახლის პირობებში უნარების განვითარებაში დაეხმარება.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წერილიდან[36] ასევე ირკვევა, რომ მოხდა მულტიდისციპლინური გუნდის მორგება ახალ რეალობასთან. ისინი ატარებდნენ პერმანენტულ ონლაინ შეხვედრებს ინკლუზიურ განათლებაში ჩართულ სპეციალისტებსა და სპეციალურ მასწავლებლებთან სწავლა-სწავლების რეკომენდაციების გაზიარების მიზნით.

გარდა ამისა, სამინისტროს ინფორმაციით, დისტანციურ ფორმატში ინტეგრირებული კლასების ფუნქციონირება უზრუნველყოფილია სენსორული დარღვევის, აუტისტური სპექტრის, საშუალო, მძიმე ინტელექტუალური და მრავლობითი დარღვევის მქონე მოსწავლეებისთვის.[37] კლასების მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით კი ხორციელდება სუპერვიზია ექსპერტების მიერ. ასევე, მშობლებსა და ინტეგრირებული კლასების სპეციალისტებთან ტარდება შეხვედრები, რომლებზეც განიხილება აქტუალური საკითხები და სირთულეების დაძლევის მეთოდები.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვების დისტანციური სწავლების ხელშეწყობის მიზნით, სპეციალური მასწავლებლებისა და ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტებისთვის მომზადდა სარეკომენდაციო ვიდეორგოლი,[38] რომელიც

[35] რესურს-ოთახი არის სკოლაში არსებული სივრცე, რომელიც ხელმისაწვდომია როგორც ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტების, ისე მასწავლებლებისთვის. ის აღჭურვილია ყველა იმ მატერიალურ-ტექნიკური საშუალებით, რომლებიც აუცილებელია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეებისთვის. მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების ჩამონათვალს განსაზღვრავს სკოლა ან/და სამინისტროს ინკლუზიური განათლების მულტიდისციპლინური გუნდი. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №16/ნ, ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/4007539?publication=0, განახლებულია: 22.11.2021.

[36] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2021 წლის 1-ლი მარტის წერილი №248441.

[37] იქვე.

[38] სარეკომენდაციო ვიდეორგოლი სპეციალური მასწავლებლებისა და ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტებისთვის სპეციალური საგანმანათლებლო საჭი-

განთავსდა სამინისტროს ფეისბუქგვერდზე.[39] ასევე, გადამზადდნენ სსსმ მოსწავლეების ინდივიდუალური ასისტენტები საჯარო სკოლებში.[40]

„ინკლუზიური განათლების ხელშეწყობის პროგრამის“ ფარგლებში[41] დასაქმებულ მასწავლებლებსა და სპეციალურ მასწავლებლებს სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი სთავაზობს კურსს სპეციალურ პედაგოგიკაში. სამინისტროს წერილიდან ირკვევა, რომ 2019 წელს ეს კურსი გაიარა 356-მა, ხოლო 2020 წელს 380-მა სპეციალურმა მასწავლებელმა. მათთვის კი, ვინც ჯერ არ დასწრებია (600 მასწავლებელი), პროგრამა კვლავ გრძელდება. სამინისტროს ინფორმაციით, ამ ეტაპისთვის აქტიურ კურსზე 400 მსმენელი ირიცხება.

„საქართველოს სკოლის ადმინისტრატორთა ასოციაციის“[42] მიერ, სამინისტროსთან თანამშრომლობით, მომზადდა პრაქტიკული სახელმძღვანელო სკოლის ადმინისტრატორებისთვის, სახელწოდებით „დისტანციური სწავლების მართვა“, რომელშიც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების დისტანციური სწავლების პროცესი დეტალურად არის განხილული.

სამინისტროს ინიციატივით, ასევე შეიქმნა გზამკვლევი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის - „სკოლები პანდემიის დროს“,[43] რომელშიც გაიწერა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის დასწრებითი და დისტანციური სწავლების ორგანიზების დეტალები.

როების მქონე მოსწავლეთა დისტანციური სწავლების ხელშეწყობისთვის, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ფეისბუქგვერდი, ხელმისაწვდომია: https://www.facebook.com/watch/?v=928603047600856, განახლებულია: 22.11.2021.

[39] იქვე.

[40] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2021 წლის 1-ლი მარტის წერილი №248441.

[41] იქვე.

[42] იქვე.

[43] იქვე

3. სახელმწიფოს მიერ შშმ ბავშვთა განათლების უფლების უზრუნველსაყოფად გატარებული ღონისძიებების ანალიზი

სამინისტროს მიერ გატარებული ღონისძიებების მიუხედავად, კვლავ ვერ ხერხდება შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების ჯეროვანი ჩართვა ინკლუზიურ საგანმანათლებლო სისტემაში. გამოწვევებს შორის სახელდება ადამიანური რესურსების დროული და ეფექტიანი მობილიზების პრობლემა, ასევე დისტანციური საგანმანათლებლო პროცესის ხელმისაწვდომობა, განსაკუთრებით, სენსორული შეზღუდვისა და ქცევის სირთულის მქონე ბავშვებში.[44]

სათანადო ტექნიკური მხარდაჭერის გარეშე დისტანციური სწავლების რეჟიმზე ხანგრძლივად გადასვლამ მოსწავლეების ნაწილი განათლების უფლების დარღვევის რისკის ქვეშ დააყენა. ბავშვები, რომლებსაც კომპიუტერულ ტექნიკასა და ინტერნეტზე ხელი არ მიუწვდებათ, საგაკვეთილო პროცესში სრულყოფილად ჩართვას ვერ ახერხებენ.[45]

სახელმწიფოს მხრიდან არასაკმარისი ღონისძიებების გატარებას მოწმობს შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა მშობლების, ასევე შშმ პირთა ინტერესების დამცველი ორგანიზაციების წარმომადგენელთა პოზიციები. ისინი პანდემიის პერიოდში განათლების კუთხით არსებულ ხარვეზებზე საუბრობენ.[46] შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების მშობლები აცხადებენ, რომ გადადგმული ნაბიჯები არასაკმარისია, ტელეგაკვეთილები არ არის მორგებული მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებზე, ხოლო კომპიუტერულ მოწყობილობებზე ხელმისაწვდომობა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გამოწვევად გამოიკვეთა. იმავდროულად, სხვა პრობლემებთან ერთად, სამწუხარო რეალობად რჩება მრავლობითი დარღვევის მქონე მოსწავლეთა შინ სწავლების შეწყვეტა.[47]

---

[44] საქართველოს სახალხო დამცველის განცხადება „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის დღე პანდემიის პირობებში“ (ombudsman.ge), ხელმისაწვდომია: shorturl.at/qEIT0, განახლებულია: 22.11.2021.

[45] საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის საპარლამენტო ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 367, ხელმისაწვდომია: shorturl.at/hFGNV, განახლებულია: 22.11.2021.

[46] საიას მიერ შშმ პირებთან, შშმ ბავშვების მშობლებთან და შშმ თემის ინტერესების დამცველ ორგანიზაციებთან ჩატარებული ინტერვიუები.

[47] იქვე.

სხვა ქვეყნების მაგალითებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ამერიკის შეერთებული შტატების ფედერალური კანონი, რომელიც განსაკუთრებული საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის განათლების ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს.[48]

საინტერესოა ასევე ურუგვაის მაგალითი. იმ მოსწავლეებისთვის, რომლებიც, გარკვეული მიზეზების გამო, დისტანციურად სწავლას ვერ ახერხებდნენ, სკოლები გაიხსნა.[49] ხორვატიის განათლების სამინისტრომ შეიმუშავა რეკომენდაციები მასწავლებლებისთვის, რათა ეფექტიანად წარიმართოს ონლაინ გაკვეთილები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის.[50] იაპონიაში მოსწავლეები სკოლაში მონაცვლეობით დადიან, სკოლები კი, თავის მხრივ, ზედმიწევნით აკონტროლებენ პირბადის ტარებისა და სოციალური დისტანცირების საკითხებს.[51]

საქართველოში არსებული რეალობის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ პროფესიონალთა გადამზადებისა თუ მოსწავლეებისთვის განათლების ხელმისაწვდომობის კუთხით სახელმწიფოს მხრიდან გატარებული ღონისძიებები არ აღმოჩნდა საკმარისი. ამან განაპირობა საგანმანათლებლო პროცესში შეზღუდული შესაძლებლობის და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა დიდი ნაწილის მხოლოდ ფორმალური ჩართულობა. მოსწავლეთა ნაწილი, ფაქტობრივად, განათლების მიღმა დარჩა. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ ჩატარდეს საბაზისო კვლევები ინკლუზიური განათლების მიმართულებით არსებული იმ გამოწვევების იდენტიფიცირებისთვის, რომელთა წინაშეც მოსწავლეები და მასწავლებლები დგანან. შშმ და სსსმ ბავშვების დისტანციურ საგანმანათლებლო პროცესში სრულყოფილად ჩართვისთვის სახელმწიფომ უნდა გაატაროს შესაბამისი ზომები და უზრუნველყოს განათლების სისტემის მოქნილობა.

---

[48] Supporting Students with Disabilities during the Covid-19 Pandemic", Share My Lesson, ხელმისაწვდომია: https://bit. ly/31vTSqd, განახლებულია: 22.11.2021.

[49] EARLY OPENING OF SCHOOLS IN URUGUAY DURING THE COVID-19 PANDEMIC, OVERVIEW AND LESSONS LEARNT, ხელმისაწვდომია: shorturl.at/kxJPU, განახლებულია: 22.11.2021.

[50] „How Countries are Using Edtech (Including Online Learning, Radio, Television, Texting) to Support Access to Remote Learning During the COVID-19 Pandemic", The World Bank, 2020, ხელმისაწვდომია: shorturl.at/bhmBP, განახლებულია: 22.11.2021.

[51] Education in Japan beyond the crisis of COVID-19, ხელმისაწვდომია: shorturl.at/elqF3, განახლებულია: 22.11.2021.

შინ სწავლება

1. შინ სწავლება და საქართველოს კანონმდებლობა

საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულია შინ სწავლება იმ ბავშვებისთვის, რომლებიც სკოლაში ირიცხებიან, თუმცა გაკვეთილებს ვერ ესწრებიან. სკოლა ვალდებულია, ასეთი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეს სწავლების სპეციალური გეგმა შეუდგინოს.

საქართველოს ეროვნული სასწავლო გეგმის[52] 39-ე და 44-ე მუხლების თანახმად, გარკვეულ შემთხვევებში მოსწავლეს შინ სწავლების რეჟიმზე გადასვლა შეუძლია. იმ მოსწავლეებს, რომლებიც არ არიან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონენი, თუმცა, სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობის მიხედვით, უნდა გაიარონ მკურნალობის კურსი ერთ თვეზე მეტი ვადით, სკოლისთვის შეტყობინების გზით, შეუძლიათ, შინ სწავლებით ისარგებლონ. ასევე, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებს, თუ ისინი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო სკოლაში სიარულს ვერ ახერხებენ, მულტიდისციპლინური გუნდის[53] დასკვნის საფუძველზე, უფლება აქვთ, განათლების მიღება შინ სწავლების ფორმით განაგრძონ.

შინ სწავლებაზე გადასვლა შესაძლებელია „ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის ბრძანებით გათვალისწინებულ შემთხვევებში.[54]

სკოლასა და მშობელთან მულტიდისციპლინური გუნდი ათანხმებს განსაზღვრული საგნების ჩამონათვალს, რომლებიც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლემ შინ სწავლებით

---

[52] ეროვნული სასწავლო გეგმა, ხელმისაწვდომია: shorturl.at/wNXZ5, განახლებულია: 22.11.2021.

[53] მულტიდისიპლინური გუნდი - ზოგადი განათლების შესახებ კანონის მე-2 მუხლის მიხედვით, არის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით შექმნილი სპეციალისტთა ჯგუფი, რომელიც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების განსაზღვრის მიზნით აფასებს მოსწავლეს და არჩევს მისთვის განათლების საუკეთესო ფორმას.

[54] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის №40/ნ ბრძანება, ხელმისაწვდომია: shorturl.at/ozL03, განახლებულია: 22.11.2021.

უნდა დაძლიოს. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა სკოლამ მაქსიმალურად უნდა დაუახლოოს სასკოლო გეგმას.[55]

2. შინ სწავლება საქართველოში

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციით[56] ირკვევა, რომ შინ სწავლების მომსახურების მიღება პანდემიის პერიოდში ხორციელდება როგორც ონლაინ სწავლების ფორმით - დისტანციურად, ისე დასწრების რეჟიმში. ამავე წერილში აღნიშნულია, რომ შინ სწავლებაზე შშმ მოსწავლეებს თავად ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები არეგისტრირებენ და სამინისტრო არ ფლობს მონაცემებს მათი რაოდენობისა თუ სხვა დეტალების შესახებ. შესაბამისად, ამ უკანასკნელს არ აქვს ინფორმაცია, თუ როგორი ხარისხით მიმდინარეობს შინ სწავლების პროცესი. გარდა ამისა, ამ მიმართულებით არც მონიტორინგის რაიმე მექანიზმი არსებობს.

გაეროს 2006 წლის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის[57] 31-ე მუხლი მიუთითებს სტატისტიკური მონაცემების არსებობის მნიშვნელობაზე, რათა უზრუნველყოფილი იყოს კონვენციის მოთხოვნების ეფექტიანი შესრულება და შესაბამისი პოლიტიკის შემუშავება/განხორციელება.

სწავლების პროცესში თითოეული მოსწავლის საჭიროებების გათვალისწინება ინკლუზიური განათლების მთავარი ქვაკუთხედია. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, სამინისტრომ აწარმოოს შინ სწავლებაზე რეგისტრირებულ შშმ მოსწავლეთა სტატისტიკა და შეიმუშაოს სწავლების ხარისხის კონტროლის ქმედითი მექანიზმი.

---

[55] ეროვნული სასწავლო გეგმა, ხელმისაწვდომია: shorturl.at/ouvwL, განახლებულია: 22.11.2021.

[56] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2021 წლის 1-ლი მარტის წერილი №248441.

[57] შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია, ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/2334289?publication=0, განახლებულია: 22.11.2021.

3. შინ სწავლება და მსოფლიო

შინ სწავლების მეთოდი ნელ-ნელა მთელ მსოფლიოში, მათ შორის, ევროპის ქვეყნებშიც ინერგება.[58] საქართველოსგან განსხვავებით, ბევრი ქვეყნის კანონმდებლობა ამგვარ ფორმას არ ითვალისწინებს, რადგან მიაჩნიათ, რომ შინ სწავლება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის სოციალიზაციასა და ინკლუზიას ხელს უშლის. მაგალითად, გერმანიის ფედერაციაში, ევროპის რამდენიმე ქვეყნის მსგავსად, სწავლების ამგვარი მეთოდი კანონით არ არის დაშვებული.[59] განსაკუთრებული პოპულარობით ის დიდ ბრიტანეთში, პოლონეთსა და საფრანგეთში სარგებლობს.[60]

ქვეყნების ნაწილში შინ სწავლება დასაშვებია ზოგიერთ შემთხვევაში.[61] ასეთებს განეკუთვნებიან, მაგალითად, რუმინეთი, უნგრეთი, ჩეხეთის რესპუბლიკა, ნიდერლანდები და სერბეთი. ზოგან კი ის გათვალისწინებულია მხოლოდ შეზღუდული შესაძლებლობის ან მძიმე დაავადების მქონე მოსწავლეთათვის.[62]

ერთ-ერთი კვლევის მიხედვით,[63] რომელიც მთელი მსოფლიოს მასშტაბით ჩატარდა და მიზნად ისახავდა შინ სწავლების ეფექტიანობის შესწავლას Covid-19-ის პანდემიის პერიოდში, გამოვლინდა არაერთი მნიშვნელოვანი პრობლემა როგორც მენტალური შეზღუდვის, ისე შეზღუდვის არმქონე ბავშვების მშობლების გამოცდილებაზე დაყრდნობით. შინ სწავლების უარყოფითი ეფექტებიდან დასახელდა განათლების დაბალი ხარისხი, რომელიც გამოწვეული იყო სკოლების არასათანადო მხარდაჭერით. ქვეყნების უმრავლესობაში პედაგოგებთან კონტაქტი შეიზღუდა, რის გამოც შინ სწავლების მართვაზე პასუხისმგებლობა მშობლებს დაეკისრათ.[64] კვლევის თანახმად, ამ მეთო-

---

[58] Homeschool laws in Europe by Countries, ხელმისაწვდომია: shorturl.at/afyK5, განახლებულია: 22.11.2021.

[59] Home education around the world, ხელმისაწვდომია: shorturl.at/iuvJY, განახლებულია: 22.11.2021.

[60] Homeschool laws in Europe by Countries, ხელმისაწვდომია: shorturl.at/boHTX, განახლებულია: 22.11.2021.

[61] იქვე.

[62] იქვე.

[63] European Child & Adolescent Psychiatry, Parental experiences of homeschooling during the COVID-19 pandemic: differences between seven European countries and between children with and without mental health conditions, ხელმისაწვდომია: https://link.springer.com/article/10.1007/s00787-020-01706-1, განახლებულია: 22.11.2021.

[64] იქვე.

დის უარყოფითი შედეგი უფრო მეტად მენტალური შეზღუდვის მქონე ბავშვებთან დაკავშირებით გამოიკვეთა.[65]

ასევე გავრცელდა არაერთი მითითება და რეკომენდაცია შინ სწავლების პროცესის უკეთ სამართავად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების მშობლებისა და მასწავლებლებისთვის. ყურადღება გამახვილდა ამ მიმართულებით პანდემიის დროს წარმოშობილ სირთულეებზე.[66]

როგორც კვლევამ აჩვენა, შინ სწავლების პროცესის სათანადოდ წარმართვა გლობალურ დონეზეც არაერთ გამოწვევასთან არის დაკავშირებული. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს კანონმდებლობა უშვებს სწავლების ამგვარ მეთოდს, მნიშვნელოვანია, ის იყოს ხარისხიანი. ამის მისაღწევად განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ უნდა აწარმოოს შინ სწავლებაზე რეგისტრირებულ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეთა სტატისტიკა. იმავდროულად, მან უნდა შეიმუშაოს ქმედითი მექანიზმები, რათა სწავლება არ ატარებდეს მხოლოდ ფორმალურ ხასიათს და მოსწავლეთა ნაწილი არ დარჩეს განათლების მიღმა.

დასკვნა და რეკომენდაციები

სახელმწიფოს მხრიდან პანდემიის დროს ამ მიმართულებით გადადგმული გარკვეული ნაბიჯების მიუხედავად, ისინი არ აღმოჩნდა საკმარისი ახალ რეალობასთან გასამკლავებლად. გაჩნდა რისკები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა განათლების უფლების სრულყოფილად რეალიზების კუთხით.

ქვეყანაში კვლავ გამოწვევაა ხარისხიანი ინკლუზიური განათლება. ინტერნეტისა და კომპიუტერული მოწყობილობების არქონა კი, თავისთავად, იწვევს ბავშვებისთვის განათლების ხელმისაწვდომობის შეზღუდვას. სასწავლო განრიგი, რომელიც სასკოლო ფორმატისთვის იყო განკუთვნილი, პანდემიის პერიოდში ვერ მოერგო ახალ გამოწვევებს და შშმ ბავშვთა ინდივიდუალურ საჭიროებებს.

[65] იქვე.
[66] Tips For Teaching Children With Disabilities And Attention Difficulties While Home Schooling, ხელმისაწვდომია: shorturl.at/kITY1, განახლებულია: 22.11.2021.

არაერთ შემთხვევაში ვერ მოხერხდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების ჩართვა დისტანციურ საგანმანათლებლო პროცესში. არსებულ გამოწვევებს შორის ყველაზე მეტად გამოიკვეთა ადამიანური რესურსების დროული, ეფექტიანი მობილიზებისა და დისტანციური სწავლების ხელმისაწვდომობის პრობლემები.

კვლევამ ასევე აჩვენა, რომ აუცილებელია, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ჰქონდეს ინფორმაცია, თუ როგორი ხარისხით მიმდინარეობს შინ სწავლების პროცესი. იმავდროულად, მნიშვნელოვანია, შეიქმნას მონიტორინგის ქმედითი მექანიზმი სამინისტროს ფარგლებში.

რეკომენდაციები საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს:

- სახელმწიფომ გაატაროს აუცილებელი ზომები, რომლებიც უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა სრულყოფილ ჩართვას დისტანციურ სასწავლო პროცესში;
- განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ აწარმოოს შინ სწავლებაზე რეგისტრირებულ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეთა სტატისტიკა და შეიმუშაოს მონიტორინგის ქმედითი მექანიზმები;
- განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ბავშვთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით შექმნას ინკლუზიური განათლების მოდულები და უზრუნველყოს გაკვეთილების ფორმატის მორგება;
- საგანმანათლებლო სივრცეების მდგრადობის მისაღწევად სახელმწიფომ ჩაატაროს საბაზისო კვლევები ინკლუზიური განათლების მიმართულებით იმ გამოწვევების იდენტიფიცირებისთვის, რომელთა წინაშეც მასწავლებლები და მოსწავლეები დგანან.